პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ბოლშევიკური კადრებისათვის

თბილისის უნივერსიტეტის 10 დღიური ორგანო

შაბათი 20 თებერვალი 1937 წ. № 7 (94) ფასი 10 კაპ.

## მთავრობის ცნობა

**18 თებერვალს 17 საათსა და 30 წუთზე მოსკოვში, თავის ბინაზე კრემლში, გულის დამბლისაგან უეცრად გარდაიცვალა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი, საკ. კ. პ. (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამხანაგი გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე**



## საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისაგან.

საკ. კ. პ. (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს პარტიას, სსრ კავშირის მუშათა კლასს და ყველა მშრომელს და მთელი მსოფლიოს მშრომელებს, რომ 18 თებერვალს საღამოს 5 საათსა და 30 წუთზე მოსკოვში უეცრად გარდაიცვალა ჩვენი პარტიის უდიდესი მოღვაწე, მგზნებარე უშიშარი ბოლშევიკი—ლენინელი, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მშენებლობის გამოჩენილი ხელმძღვანელი—საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ.

### გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე

მთელი პარტიისათვის, სსრ კავშირის მუშათა კლასისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის ძვირფასი, უმწიკვლო, სპეტაკი და [illegible] პარტიელის, ბოლშევიკის ამხანაგ ორჯონიკიძის გარდაცვალება, რომელმაც თავისი სახელოვანი, გმირული სიცოცხლე მუშათა კლასის საქმეს, კომუნიზმის საქმეს შესწირა, უმძიმეს დანაკლისს წარმოადგენს მთელი პარტიისა და საბჭოთა კავშირისათვის. ამხანაგ ორჯონიკიძის სახე, მისი თავდადებული ბრძოლა პროლეტარული რევოლუციისათვის, სოციალიზმის მშენებლობისათვის ჩვენს ქვეყანაში აღაფრთოვანებს ყველა მშრომელს, ყველა პარტიელს, სამეურნეო ფრონტის ყველა მუშაკს შემდგომი ბრძოლის გასაჩაღებლად სოციალიზმის გამარჯვებისათვის, საბჭოთა მრეწველობის ახალი მონაპოვრებისათვის, მთელი ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი.

## სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაგან

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს სსრ კავშირის მუშებს, კოლმეურნეებს და ყველა მშრომელს, რომ 18 თებერვალს გარდაიცვალა მგზნებარე ბოლშევიკი, კავშირის სოციალისტური მეურნეობის უდიდესი ორგანიზატორი, ჩვენი სოციალისტური მრეწველობის უნიჭიერესი ხელმძღვანელი, სსრ კავშირის ცაკის წევრი, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი

### გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე

## ამხანაგ ორჯონიკიძის ხსოვნას

ჩვენმა პარტიამ მძიმე დანაკლისი განიცადა: 18 თებერვალს გულის დამბლისაგან უეცრად გარდაიცვალა ამხანაგი გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე.

სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოსტაცა გამოჩენილი ხელმძღვანელი, პარტიის საქმისათვის დაუღალავი მებრძოლი, სოციალისტური ინდუსტრიის მებრძოლი ხელმძღვანელი და მის ბრწყინვალე გამარჯვებათა ორგანიზატორი, ჩვენი ახლობელი და საყვარელი ამხანაგი და მეგობარი.

მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე ამხანაგმა ორჯონიკიძემ უკლებლივ შესწირა მუშათა კლასის საქმეს, კაცობრიობის განთავისუფლების საქმეს, კომუნიზმის საქმეს. ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში ამხანაგი ორჯონიკიძე დადგა ლენინის დიადი დროშის ქვეშ და მას შემდეგ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე პატიოსნად და ერთგულად ეჭირა ეს დროშა ხელში, იბრძოდა რა ყველაზე მოწინავე პოზიციებზე.

მისი სიცოცხლე განუყრელად იყო დაკავშირებული მეფის თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიულ-მემამულური ჩაგვრის წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა რევოლუციურ ბრძოლასთან, სსრ კავშირში დიდი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლასთან, თეთრგვარდიელთა არმიებისა და უცხოელ ინტერვენტთა განადგურების ორგანიზაციასთან, სოციალიზმის ძლევამოსილ მშენებლობასთან და ყველგან, სადაც მისი მჩქეფარე რევოლუციური მოღვაწეობა მიმდინარეობდა, იქ გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა.

ამხანაგი ორჯონიკიძე წარმოადგენდა ისეთი ბოლშევიკის ნიმუშს, რომელმაც არ იცოდა შიში და დაბრკოლებანი პარტიის მიერ დასახული დიადი მიზნების მიღწევაში. მგზნებარე ენერგია, შეუპოვრობა და პირდაპირობა, მასების გამოჩენილი ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის ნიჭი მასში შეხამებული იყო ადამიანებთან ურთიერთობისას იმ გულთბილობისა და ამხანაგური უბრალოების განსაცვიფრებელ თვისებებთან, რომლებიც ასე კარგად არის ცნობილი ყველასათვის, ვინც პირადად იცნობდა ამხ. სერგოს და რომლებითაც განირჩევა ნამდვილი ბოლშევიკ-ლენინელი.

უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე ამხ. ორჯონიკიძე სათავეში ედგა სსრ კავშირის მძიმე მრეწველობას. მის სახელთან არის დაკავშირებული სოციალისტური ეკონომიკის უდიდესი გამარჯვებანი. მისი დახმარებით პარტიამ გადასჭრა ჩვენს ქვეყანაში მძლავრი მოწინავე მძიმე ინდუსტრიის აშენების უძნელესი ამოცანა, ინდუსტრიისა, რომელმაც ხელახლა შეაიარაღა სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და თავდაცვა. მძიმე ინდუსტრიის მუშაკთა მრავალმილიონიანი არმიის სათავეში ამხანაგი ორჯონიკიძე ერთი მეორეზე იღებდა იერიშით უძნელეს ციხესიმაგრეებს ახალი ტექნიკის აშენებისა და დაუფლებისათვის ბრძოლის ფრონტზე. იგი სიყვარულით ზრდიდა მძიმე ინდუსტრიის ნიჭიერ, სოციალიზმის საქმის ბოლომდე ერთგულ, ბოლშევიკური პარტიის გარშემო დარაზმულ მოღვაწეთა კადრებს.

და აი ახლა შენ, ძვირფასო ამხანაგო სერგო, აღარა ხარ ჩვენთან. ამ დანაკლისის სიმძიმე წარუშლელია. მას გულისტკივილით განიცდის ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი. შენ დაგკარგეთ იმ მომენტში, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ სოციალიზმის გამარჯვებას მიაღწია. ჩვენს მიერ დიადი ბრძოლით მოპოვებულ ამ გამარჯვებებში დიდი წილი გიდევს შენი შრომით, შენი ენერგიით, კომუნიზმისადმი შენი უსაზღვრო ერთგულებით.

მშვიდობით ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო სერგო!

ი. სტალინი
ვ. მოლოტოვი
ლ. კაგანოვიჩი
კ. ვოროშილოვი
ვ. ჩუბარი
ა. მიქოიანი
ს. კოსიორი
გ. პეტროვსკი
რ. ეიხე
ი. რუძუტაკი
მ. კალინინი
ა. ჟდანოვი
პ. პოსტიშევი
ა. ანდრეევი
ნ. ეჟოვი
ი. აკულოვი
ვ. მეჟლაუკი
ნ. ანტიპოვი
მ. შკირიატოვი
ი. იაკოვლევი

# გრიგოლ კონსტანტინესძე ორჯონიკიძე

## სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსაგან

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს სსრ კავშირის მუშებს, გლეხებს და ყველა მშრომელს, რომ 18 თებერვალს გარდაიცვალა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი საუკეთესო ხელმძღვანელი, სოციალისტური მრეწველობის ორგანიზატორი, კომუნიზმის საქმისათვის უსაზღვროდ თავდადებული მებრძოლი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი

### გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე

სახალხო კომისართა საბჭო, გლოვობს რა ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად მძიმე დანაკლისს —უდრეკი და მგზნებარე ბოლშევიკის, საბჭოთა სოციალისტური მრეწველობის ორგანიზატორის ამხანაგ ორჯონიკიძის გარდაცვალებას, გამოსთქვამს მტკიცე რწმენას რომ მისი, რევოლუციური მებრძოლისა და სოციალიზმის მშენებლის სახელოვანი ცხოვრება მაგალითს მისცემს ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელსა და კომუნიზმისათვის ყველა რევოლუციურ მებრძოლს.

**სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო.**

★

საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს და ყველა მშრომელს, ჩვენი პარტიის ერთერთი გამოჩენილი ხელმძღვანელის, ამიერ კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი ორგანიზატორის, მგზნებარე რევოლუციონერის, უძველესი ბოლშევიკის, კომუნიზმის საქმისათვის შეუდრეკელი მებრძოლის, საკ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხანაგ

### გრიგოლ კონსტანტინეს-ძე (სერგო) ორჯონიკიძის

უეცრად გარდაცვალებას.

ხსოვნა ძვირფას ამხანაგ სერგოსი, რომელმაც მებრძოლის თავისი გმირული სიცოცხლე შესწირა სოციალიზმის გამარჯვებას, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ბოლშევიკებს და ყველა მშრომელს განამხნევებს კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

**საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი.**

★

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს და ყველა მშრომელს ჩვენი პარტიის ერთერთი გამოჩენილი ხელმძღვანელის, უძველესი ბოლშევიკის, კომუნიზმის საქმისათვის მგზნებარე უშიშარ მებრძოლის, უდრეკი ლენინელის, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ერთერთი ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის, საბჭოთა კავშირის სოციალისტური მეურნეობის უდიდესი ხელმძღვანელის საკ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხანაგ

### გრიგოლ კონსტანტინეს-ძე (სერგო) ორჯონიკიძის

უეცარ გარდაცვალებას 1937 წლის 18 თებერვალს ქალაქ მოსკოვში

დიდად საყვარელ ამხანაგ სერგო ორჯონიკიძის გმირული სახე, მისი თავდადებული ბრძოლა ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, საბჭოთა საქართველოს ბოლშევიკებს და ყველა მშრომელს განამხნევებს სოციალიზმის შემდგომი გამარჯვებებისათვის ბრძოლაში

**საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი.**

★

საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს საქართველოს მუშებს, კოლმეურნეებსა და ყველა მშრომელს საბჭოთა სახელმწიფოს ერთერთი გამოჩენილი ხელმძღვანელის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველი ორგანიზატორის, კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული მებრძოლის სოციალისტური მრეწველობის უდიდესი ხელმძღვანელის, სსრ კავშირის ცაკის წევრის, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხანაგ

### გრიგოლ კონსტანტინეს-ძე (სერგო) ორჯონიკიძის

უეცარ გარდაცვალებას 1937 წლის 18 თებერვალს ქ. მოსკოვში.

★

საქართველოს სსს სახალხო კომისართა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს საქართველოს სს რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებსა და ყველა მშრომელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველი ორგანიზატორის ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკის გამარჯვებისათვის შეუდრეკელ მებრძოლის, სსრ კავშირის სოციალისტური მრეწველობის უნიჭიერესი ხელმძღვანელის, სსრკ ცაკის წევრის, კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხანაგ

### გრიგოლ კონსტანტინეს-ძე (სერგო) ორჯონიკიძის

გარდაცვალებას 1937 წლის 18 თებერვალს ქალაქ მოსკოვში.

---

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს პარტიის წევრებსა და თბილისის ყველა მშრომელს, უძველესი ბოლშევიკის, თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთერთ სახელოვან ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის, საკ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის სოციალისტური მრეწველობის გამოჩენილ ხელმძღვანელის, სსრკ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხანაგ

### გრიგოლ კონსტანტინეს-ძე (სერგო) ორჯონიკიძის

გარდაცვალებას 1937 წლის 18 თებერვალს ქ. მოსკოვში.

★

## ამხანაგ სერგოს ხსოვნას

ჩვენმა პარტიამ მძიმე დანაკლისი განიცადა,

ულმობელმა სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოსტაცა **ლენინ სტალინის** ბოლშევიკური პარტიის ერთ ერთი უდიდესი მშენებელი, სსრ კავშირის სამეურნეო მშენებლობის გამოჩენილი ხელმძღვანელი, მგზნებარე რევოლუციონერი, უშიშარი, უდრეკი მებრძოლი კომუნიზმის საქმისათვის—ამხანაგი **სერგო ორჯონიკიძე.**

უდიდესი მწუხარების გრძნობით ავსებს საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის ყველა მშრომელთა გულს იმის ფიქრი, რომ აღარ არის მშობლიური **სერგო,** რომელიც დაუღალავად სჭედდა ამიერ-კავკასიის ხალხთა მეგობრობას, რომელმაც უდიდესი შრომა და ძალღონე მოახმარა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა სამეურნეო და კულტურულ ცხოვრების აღმავლობისა და მძლავრი აყვავების საქმეს.

ამხანაგმა **სერგო ორჯონიკიძემ** მთელი თავისი სახელოვანი გმირული სიცოცხლე ბოლომდის შესწირა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლის საქმეს, დიდი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის და სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმეს.

ამხანაგი **სერგო** 17 წლის ჭაბუკი შედის ბოლშევიკთა რკინის, ლენინურ-სტალინურ რიგებში და მთელი თავისი მჩქეფარე ენერგიითა და ენტუზიაზმით გადაეშვება უშიშარ ბრძოლაში მშრომელთა განთავისუფლებისათვის, ექსპლოატატორული წყობილების დამხობისა და მოსპობისათვის.

მეფის დროის მძიმე არალეგალობის წლებში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის პერიოდში, სამოქალაქო ომის წლებში და ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის პერიოდში ერთი წუთითაც კი არ ცხრებოდა ამხანაგ **სერგოს** მჩქეფარე რევოლუციური ენერგია, თანაბარი დაძაბვით მუშაობდა მისი ნათელი გონება და მისი მძლავრი რკინისებური ნებისყოფა. ერთიმეორეზე მოჰქონდა რა გამარჯვება მშრომელთა განთავისუფლებისა და სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვის საქმისათვის, სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმისათვის.

ამხანაგი **სერგო** ხელმძღვანელობდა თეთრგვარდიელთა არმიების განადგურებას და საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებას ჩრდილო-კავკასიაში.

ასრულებდა რა **ლენინისა და სტალინის** უშუალო მითითებებს, ამხანაგი **სერგო** ხელმძღვანელობდა საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას იმპერიალისტური ინტერვენტებისა და მათი დაქირავებული აგენტების—მენშევიკთა, მუსავატელთა და დაშნაკთა კონტრრევოლუციური პარტიების წინააღმდეგ; იგი იყო საბჭოთა ხელისუფლების პირველი ორგანიზატორი ამიერ კავკასიის რესპუბლიკებში, მისი ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ იქნა განხორციელებული ლენინურ სტალინური იდეა ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნისა და ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური მეგობრობისა და მჭიდრო თანამეგობრობის განმტკიცების შესახებ.

ამხანაგ **სერგოს** საამაყო სახელი განუყრელად არის დაკავშირებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციასთან, სოციალისტური მძიმე მრეწველობის უდიდეს გამარჯვებათა ორგანიზაციასთან, რომელმაც სსრ კავშირი გადააქცია მსოფლიოში მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნად, სოციალიზმის ძლევამოსილ ციხე-სიმაგრედ.

წარმოადგენდა რა **ლენინ სტალინის** პარტიისადმი ერთგულებისა და უსაზღვრო თავდადების ნიმუშს, ამხანაგ **სერგო** მუდამ ულმობელად იბრძოდა პარტიისა და ხალხის ყველა მტერთა წინააღმდეგ, პარტიული რიგების ერთიანობისა და სიწმინდისათვის, **მარქს-ენგელს ლენინ-სტალინის** დიადი მოძღვრების სიწმინდისათვის, მზრუნველობითა და სიყვარულით ზრდიდა კომუნიზმის საქმის ერთგულ პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა მრავალრიცხოვან კადრებს.

**სერგო** იყო ჩვენი დიდი ბელადის—ამხანაგ **სტალინის** უახლოესი ერთგული და თავდადებული თანამებრძოლი.

**სერგომ** მთელი თავისი ელვარე და სახელოვანი რევოლუციური, ბრძოლით აღსავსე სიცოცხლე შესწირა **ლენინ-სტალინის** პარტიის საქმის გამარჯვებას.

**სერგო** მთელი თავის ბოლშევიკურ გონებას, ენერგიასა და ენტუზიაზმს, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით, მუდამ უდრეკად ანდომებდა ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის სსრ კავშირში, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის მთელს მსოფლიოში.

ამხანაგ **სერგოს** გარდაცვალება წარუშლელი დანაკლისია მთელი ჩვენი პარტიისათვის, მთელი ჩვენი ხალხისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის.

ამხანაგ **სერგოს** გმირული სახე, მისი ნათელი სიცოცხლე უდრეკი პროლეტარულ რევოლუციონერ-ბოლშევიკისა მაგალითი იქნება მთელს მსოფლიოში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის მებრძოლთა მრავალი თაობის აღსაზრდელად.

მშვიდობით ჩვენო ძვირფასო და დაუვიწყარო ამხანაგო **სერგო!**

| | |
|---|---|
| ლ. ბერია | მ. ლევანდოვსკი |
| მ. დ. ბაგიროვი | პეტერსონი |
| გ. მუსაბეკოვი | ვ. დეკანოზოვი |
| ფ. მახარაძე | გ. ყურულაშვილი |
| გ. მგალობლიშვილი | ა. კეკელია |
| უს. რახმანოვი | გ. სტურუა |
| ა. გულოიანი | ვ. დარახველიძე |
| ა. აგრბა | ზ. მათიკაშვილი |
| ვ. ბაქრაძე | ა. გეურქოვი |
| ა. ამატუნი | მ. გობეჩია |
| სტ. აკოფოვი | მ. ნიორაძე |
| გრ. არუთინოვი | ე. ბედია |
| ა. აკოფოვი | ვ. გობეჯიშვილი |
| ს. გოგლიძე | პ. შარია |

---

## მშვიდობით მშობლიურო სერგო!

ამ.-კ. სამხედრო ოლქის მებრძოლებმა, მეთაურებმა, პოლიტმუშაკებმა გამოუთქმელი ღრმა უბედურების გრძნობით გაიგეს ამხანაგ სერგო ორჯონიკიძის ლენინ სტალინის პარტიის ერთერთი თვალსაჩინო მგზნებარე მებრძოლის, დიდი ბელადის—ამხანაგი სტალინის ერთერთი საუკეთესო რკინისებური და მტკიცე თანამებრძოლის, სამოქალაქო ომის ფრონტებზე მუშურ-გლეხური წითელი არმიის გამარჯვებების ერთერთი უნიჭიერესი ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის უეცარი გარდაცვალება.

ჩვენ, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მებრძოლები, ვიცნობთ ჩვენს უახლოეს მშობლიურ სერგოს, როგორც მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაციონალური ნაწილების უშუალო მშენებელს. ამხანაგმა სერგომ, დაწყებული პარტიზანული რაზმებიდან, წითელი გვარდიის ნაწილებიდან ჩრდილოეთ-კავკასიასა, ყუბანსა, თერგის მხარესა და ამიერ კავკასიაში, იყო რა კავკასიის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრი, უშუალოდ ხელმძღვანელობდა რა ჩრდილოეთ კავკასიის მე-11, კავკასიის წითელდროშოვან მეცხრე, მეათე, თერგ-დაღესტნის არმიებს, თვითონ ყოველთვის იმყოფებოდა სხვადასხვა საბრძოლო ჯგუფების და ნაწილების პირველ რიგებში, მოაწყო კავკასიასა და ამიერ-კავკასიაში მემამულურ-ბურჟუაზიული და თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის გაანადგურება. ახორციელებდა რა ლენინისა და სტალინის პირად მითითებებს, ამხანაგი სერგო გახდა მთელი კავკასიის მშრომელთა განმათავისუფლებელი საერთაშორისო იმპერიალიზმის დამქაშებისა და ურდოებისაგან. კავკასიაში არ არის ისეთი ქალაქი, სტანიცა, აული, არ არის მიწის არც ერთი მტკაველი, სადაც ამხანაგ სერგოს არ ებრძოლოს ჩვენი პარტიის, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის,

სერგოს სახით ჩვენ დავკარგეთ ლენინელ-სტალინელი, რომელიც არავითარ, ყველაზე ურთულეს პირობებში არ ცნობდა სიძნელეებს, მისი სახით ჩვენ დავკარგეთ ჩვენი პარტიის შეუდრეკელი ბოლშევიკი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა მუშათა კლასის საქმეს, გამარჯვებულ სოციალიზმის ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების საქმეს.

მშვიდობით ძვირფასო, ჩვენო მშობლიურო სერგო! შენს საფლავზე ჩვენ ფიცსა ვსდებთ, რომ კიდევ უფრო მაღლა აღვმართავთ ჩვენი პარტიის, ლენინ-სტალინის პარტიის დროშას, კიდევ უფრო შევმჭიდროვდებით საკ. კ. პ. (ბ) ცეკასა და საყვარელ დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო, დაუღალავად განვამტკიცებთ მუშურ-გლეხური წითელი არმიის შეურყეველ ძლევამოსილებას.

ლევანდოვსკი
იარცევი
სოკოლოვი
სავიცკი
თუხარ ლი
შ ლუხინი
უგულავა

★

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტი, რექტორატი, პროფესურა, სტუდენტობა, სტუდენტთა ალმასბიურო და ადგილკომი იუწყებიან პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ერთერთ საუკეთესო ხელმძღვანელის, უდრეკი და მგზნებარე ბოლშევიკის, კომუნიზმის საქმისათვის შეუდრეკელი მებრძოლის

### გრიგოლ კონსტანტინეს-ძე (სერგო) ორჯონიკიძის

უეცარ გარდაცვალებას.

★

## სამგლოვიარო სხდომები

სოციალისტური ინდუსტრიის მებრძოლი ხელმძღვანელის, მშრომელი მასების გამოჩენილი ორგანიზატორის, სტალინის საუკეთესო თანამებრძოლის ამხ. სერგო ორჯონიკიძის გარდაცვალების ცნობა ელვის სისწრაფით მოედვა მთელ საბჭოთა კავშირს.

ამ თავზარდამცემმა ცნობამ უღრმესი მწუხარება გამოიწვია ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალრიცხოვან კოლექტივში. ცხრამეტ თებერვალს სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა სამგლოვიარო სხდომები, რომელსაც დაესწრნენ პროფესორები. მეცნიერ-მუშაკები, სტუდენტები და ადმინისტრაციულ-ტექ. მუშაკები. მოხსენებით ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელოვანი მოღვაწეობის შესახებ გამოვიდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ამხ. კ. ორაგველიძე, უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. სობუა, სახ. უნივერსიტეტის პრორექტორი ამხ. ჯანელიძე. მომხსენებლები ხაზს უსვამდნენ კომუნისტური პარტიის უდიდესი მოღვაწის, მგზნებარე, შეუდრეკელი ბოლშევიკის ამხ. სერგო ორჯონიკიძის მნიშვნელობას საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისათვის და მთელ მსოფლიო მშრომელებისათვის. ამხ. ორჯონიკიძემ მთელ თავის უმწიკვლო, სპეტაკი, თავდადებული, სახელოვანი და გმირული სიცოცხლე შესწირა კომუნიზმის გამარჯვების საქმეს. პარტიამ დაკარგა მგზნებარე ბოლშევიკი, მასების გამოჩენილი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. სერგო ორჯონიკიძის გარდაცვალება უდიდეს დანაკლისს წარმოადგენს მთელი პარტიისათვის, სსრ კავშირის მუშათა კლასისათვის და მთელი მსოფლიო მშრომელებისათვის. ამხ. სერგოს გმირული სიცოცხლე, მისი თავდადებული ბრძოლა კომუნიზმისათვის მუდამ აღაფრთოვანებს ჩვენს ქვეყანაში ყველა მშრომელს, ყველა პარტიულ და უპარტიო ბოლშევიკს კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

სამგლოვიარო სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ პროფესორები კეკელიძე, მარკოსიანი, (ერევნის უნივერსიტეტის პრორექტორი), ახვლედიანი, ნუცუბიძე, ჯანაშია. სტუდენტები: ჩხაიძე, მაღლაქველიძე, ჩიხლაძე და სხვ.

ყველამ აღნიშნა ის უდიდესი დანაკლისი, რომელიც [illegible] ლმა ჩვენმა ქვეყანამ სერგო ორჯონიკიძის დაკარგვით და მოუწოდებდენ ყველას უფრო შეუპოვრად იბრძოლონ კომუნიზმის საქმისათვის, იმ საქმისათვის, რომელსაც მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე შესწირა ამხ. სერგომ. მთელ ჩვენს სიცოცხლეს და ენერგიას მოვახმართ სოციალიზმის საქმეს და ეს იქნება საუკეთესო ძეგლი ამხ. სერგო ორჯონიკიძის ხსოვნისადმი— აცხადებდნენ გამოსული ამხანაგები.

პ.-მგ. რედაქტორი:
პ. ხობუა

...ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა-ლითოგრაფია
მთავლიტის რწმუნებული № 15...